

SCHOMBURG GmbH & Co. KG
Aquafinstraße 2–8
D-32760 Detmold (Germany)
phone + 49-5231-953-00
fax + 49-5231-953-108
email export@schomburg.de
www.schomburg.com



ტექნიკური სპეციფიკაცია

COMBIDIC®-1K

Art.-No. 2 05011

1-კომპონენტური პოლიმერმოდიფიცირებული ბიტუმის საფარი

SCHOMBURG GmbH & Co. KG Aquafinstraße 2–8 D-32760 Detmold 13 2 05011	
EN 15814 COMBIDIC-1K პოლიმერმოდიფიცირებული ბიტუმის საფარი მიწასთან პირდაპირ შეხებაში მყოფი შენობის კომპონენტების წყალიზოლაციისთვის	
წყლის შეუღწევადობა:	W2A
ბზარების გადაბმის უნარი:	CB2
მდგრადობა წყლის მიმართ:	ტესტი
დეფორმაცია დაბალი ტემპერატურის დროს:	ტესტი
განზომილებითი სტაბილურობა	მაღალ
ტემპერატურაზე:	ტესტი
რეაქცია ცეცხლზე:	კლასი E
შეკუმშვის ძალა:	C2A
წყალშეუღწევადობის და ცეცხლზე რეაქციის ხანგრძლივობა:	აკმაყოფილებს

- უნაკერო, დრეკადი, ბზარების გამაერთიანებელი წყალგაუმტარი გარსი
- ერთი კომპონენტი
- არ შეიცავს გამხსნელს
- მარტივი და ეკონომიური გამოყენება
- წყალგაუმტარი მასალა: DIN EN 15814
- გამოიყენება წებოს სახით საიზოლაციო, დამცავი და სადრენაჟე მასალებისთვის
- შიდა და გარე გამოყენებისთვის

გამოყენების სფეროები:

COMBIDIC-1K გამოიყენება შენობის იმ კომპონენტების წყალიზოლაციისთვის, რომლებიც პირდაპირ შეხებაშია მიწასთან, მაგალითად: სარდაფის კედლები, ფუნდამენტები, იატაკის ფილები, არსებული პირობების გათვალისწინებით:

- ნიადაგის ტენი და მოძრავი ფილტრაციული წყალი: DIN 18195 – part 4
- უმოძრაო ფილტრაციული წყალი: DIN 18195 – part 6.

ტექნიკური მონაცემები:

საფუძველი: 1 კომპონენტი, პოლიმერმოდირებული ბიტუმის საფარი

სიმკვრივე: დაახლოებით 0.7 კგ/დმ³.

გამოყენების/სუბსტრატის

ტემპერატურა: +5°C-დან +30°C-მდე

ბზარების გადაბმა

DIN EN 15812: > 2 მმ (CB2)

მდგრადობა წვიმის მიმართ

DIN EN 15812: < 2 სთ (R2)

წყალიზოლაცია (სლოტ-დისკის წნევა 1 მმ)

DIN EN 15812: > 0.75 ბარი (W2A)

კომპრესიული ძალა,

0.3 MN/m², DIN EN 15815PG: C2A

რეაქცია ცეცხლზე,

DIN EN 13501-1: კლასი E

მოცემული სიდიდეები ძალაშია +23°C ტემპერატურის და 50% ფარდობითი ტენიანობის პირობებში. ადგილობრივი და კლიმატური პირობების მიხედვით მოცემული სიდიდეები შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

მასალის საჭირო რაოდენობა:

- ნიადაგის ტენი, მოძრავი ფილტრაციული წყალი:

დაახლოებით 4.0 ლ/მ² = დაახლოებით 3 მმ მშრალი გარსის სისქე

- უმოძრაო ფილტრაციული წყალი:

დაახლოებით 5.0 ლ/მ² = დაახლოებით 4 მმ მშრალი გარსის სისქე

- გადაბმის (შეწებების) დამცავი და სადრენაჟე მასალები:

დაახლოებით 1.3 ლ/მ²/მმ სისქე.

მასალის მეტი მოხმარება არასწორი სუბსტრატების გამო არ არის გათვალისწინებული.

შეფუთვა: 14 და 28 ლიტრიანი კონტეინერები

შენახვის წესი: გრილი, მშრალი და ყინვისგან დაცული, მინ. 12 თვე გაუხსნელი კონტეინერებით. კონტეინერების გახსნის შემდეგ მასალა დროულად გამოიყენეთ.

დასუფთავება: სამუშაო იარაღები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით. გამშრალი მასალის მოშორება ძალიან რთულია.

სუბსტრატის მომზადება

სუბსტრატი დაცული უნდა იყოს ყინვისგან, უნდა იყოს მზიდი, ბრტყელი, ღია ფორებით და დახურული ზედაპირით. არ უნდა შეიცავდეს ხრეშის ჯიბეებს, ორმოებს, დიდ ბზარებს, არ უნდა შეიცავდეს წებოვანების შემამცირებელ მასალებს, მაგალითად მტვერს, ცემენტის რძის ფენებს და ნაყარ კომპონენტებს. ტალღოვანი მონაკვეთები > 5 მმ, ასევე, ცემენტის ხსნარის ჯიბეები, შელესვის ღრმულები აგურის წყობაში ან მკვრივი ბეტონის ბლოკებში, ქვის წყობის ნაკერები, სიცარიელები, დიდფორებიანი სუბსტრატები ან არასწორი ქვის წყობა წინასწარ უნდა მოსწორდეს ASOCRET-M30-ით. კუთხეები და კიდეები უნდა მომრგვალდეს, ან, ბეტონის მონაკვეთებით, უნდა დაცერავდეს დაგების შემდეგ. აუცილებელია ცემენტის რძის მექანიკურად მოცილება კედლების/იატაკების გადასვლებიდან.

კედლების/იატაკების გადაბმის ადგილები და შიდა კუთხეები:

პროფესიონალურად მომზადებული სუბსტრატი წინასწარ დაფარეთ თხევადი ცემენტის ხსნარით AQUAFIN-1K ან ASOCRET-M30-ით, სითხის კონსისტენციით და მოაწყვეთ თაღოვანი შემავსებლები ASOCRET-M30-ით, მინ. 4 სმ კიდის სიმაღლეზე, ვიდრე თხევადი ნარევი სველია. უკნიდან ნესტის შეღწევის დასაცავად დაფარეთ ფუძის ფილის ზემოთ არსებული ზონა, მინ. 20 სმ სიმაღლეზე, AQUAFIN-1K-ით და ფუძის ფილის ფრონტალური ნაწილის ზემოთ - მინ. 10 სმ სიღრმეზე. უმოძრაო ფილტრაციული წყლის პირობებში წყალგაუმტარი ფენა კიდევ უნდა გაგრძელდეს მინ. 15 სმ სიღრმემდე.

გადაკვეთა:

ნიადაგის ნესტის და მოძრავი ფილტრაციული წყლის პირობებში გადაკვეთის ადგილებზე უნდა მოეწყოს მინერალური თაღისებრი შემავსებლები (ASOCRET-M30) და, გაშრობის შემდეგ, უნდა გაერთიანდეს ზედაპირზე წასმულ წყალგაუმტარ გარსში. ისეთ პირობებში, როდესაც წყალი წნევის ქვეშ არ არის, ან უმოძრაო ფილტრაციული წყლის პირობებში, გამოიყენეთ გადაკვეთების დაწებებული ან ნაყარი/ჩაშენებული კიდეები და გააერთიანეთ ზედაპირზე წასმულ წყალგაუმტარ გარსში.

პერიოდული დასველების ზონები / პლინთუსების ზონების გადასვლა:

წყლით პერიოდული დასველების ზონაში წყალგაუმტარი გარსი მინ. 30 სმ-ით მაღლა უნდა იყოს მიწიდან. მიწაზე დარეგულირების შემდეგ, წყალგაუმტარი გარსი უნდა აღწევდეს მინიმუმ 15 სმ-ს მიწის დონიდან. როგორც წესი, ეს გადაბმა მუშავდება ცემენტის დრეკადი წყალგაუმტარი თხევადი ხსნარებით, მაგალითად: AQUAFIN-RS300, ისეთი სცესტრატის მისაღებად, რომელსაც მიკრობის შესაძლებლობა აქვს. გადაუსვით ბიტუმის საფარი წყალგაუმტარ თხევად ხსნარზე მინ. 10 სმ-ზე.

პროდუქტის მომზადება:

სუბსტრატზე ადექვატური მიკრობის მისაღწევად, წაუსვით გრუნტის საფარი - ASOL-FE - წყლით განზავებული 1:5 თანაფარდობით. ასევე, სუბსტრატის მოსამზადებლად შეიძლება სქრეჩ-საფარის წასმა. გრუნტის ან სქრეჩ-საფარის სრული გაშრობის შემდეგ, სწორად მომზადებულ სუბსტრატზე წაუსვით COMBIDIC-K1.

COMBIDIC-K1 გამოიყენება ქაფით ან შესაფერისი საფრქვევი მოწყობილობით, მაგალითად: HighPump M8 (პერისტალტიკური ტუმბო). ინფორმაციისთვის იხილეთ: HTG HIGH TECH Germany GmbH, Berlin, www.hightechspray.de.

ღია პირობები: DIN 18195 – part 4:

COMBIDIC-K1 წაუსვით ბრტყელი ქაფით, მინიმუმ 2 ფენად. ერთგვაროვანი სისქის მისაღწევად, საუკეთესო შემთხვევაში, გამოიყენეთ შესაფერისი ზომის კბილანა ქაფა და შემდეგ მოასწორეთ ზედაპირი ქაფის ბრტყელი ბოლოს მეშვეობით. ყოველთვის წაუსვით „სველი სველზე“. მშრალი გარსის სისქე უნდა იყოს მინიმუმ 3 მმ.

ღია პირობები: DIN 18195 – part 6:

COMBIDIC-K1 წაუსვით ბრტყელი ქაფით, მინიმუმ 2 ფენად. ASO-reinforcing fabric (ქსოვილი) გააერთიანეთ პირველ სველ ფენაში. შემდეგი ფენის წასმამდე პირველი ფენა კარგად უნდა

გამოშრეს მისი დაზიანების პრევენციის მიზნით. მშრალი გარსის სისქე უნდა იყოს მინიმუმ 4 მმ.

წყალგაუმტარი გარსის შეფასება:

ყოველთვის შეამოწმეთ სისქე და შედეგები აღრიცხეთ. ღია პირობებში DIN 18195, 5-6, სავალდებულოა სველი და მშრალი გარსის სისქის გაზომვა და აღრიცხვა. გარსის სისქე, როდესაც სველია, მოწმდება სველი გარსის სისქის გაზომვით (მინიმუმ 20 გაზომვა შენობის პროექტზე ან მინიმუმ 20 გაზომვა ყოველ 100 მ²-ზე). გაზომვის წერტილები დიაგონალურად განათავსეთ. გაზომვის სიხშირე იზრდება, მაგალითად, გადაკვეთის, გადასვლის და გადაბმის ზონებში. DIN 18195 part 6 სტანდარტის შემთხვევაში, ორივე გარსის სისქე უნდა შემოწმდეს ცალ-ცალკე. გაშრობის და, ასევე, მშრალი გარსის სისქის შეფასება ტარდება დესტრუქციული სარეფერენციო ნიმუშით, Wedge Cut მეთოდის გამოყენებით. სარეფერენციო ნიმუში შედგება პროექტის სუბსტრატიდან აღებული მასალისგან (მაგ.: ქვის წყობა, ბეტონის გზის ფილა), რომელიც ჩაიდება შენობის თხრილში.

სადრენაჟე და დამცავი ფარები:

წყალგაუმტარი გარსები დაცული უნდა იქნას კლიმატური და მექანიკური დაზიანებისგან შესაფერისი დამცავი ზომების ან ფენების გამოყენებით, DIN 18195, part 10 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. დამცავი ფენები არ უნდა ახდენდეს წერტილოვან თუ ხაზოვან ზეწოლას წყალგაუმტარ გარსზე, ამიტომ, ღრმულეზიანი საფარები თუ კორუგირებული (გოფირებული) დამცავი ფარები არ უნდა იქნას გამოყენებული. დანცავი ფენები იდება წყალგაუმტარი ფენის სრულად გამოშრობის შემდეგ. შესაფერისი დამცავი და სადრენაჟე ფარები შეიძლება დამაგრდეს პატარა ლურსმნებით, პერიმეტრზე იზოლაციის მიმაგრება ხდება COMBIDIC-2K-ის მეშვეობით. სადრენაჟე ფარების განთავსება უნდა აკმაყოფილებდეს DIN 4095 სტანდარტს.

შენობის თხრილის შევსება:

შენობის თხრილის შევსება ხდება ბიტუმის საფარის სრული გამოშრობის შემდეგ, შესაბამისი მითითებების დაცვით. შემავსებელი მასალა იყრება და იტკეპნება ფენებად, ისე, რომ დამცავი ფენების დაზიანება და მოცილება არ მოხდეს.

რჩევები:

- დაიცავით ის ზონები, რომლებზეც COMBIDIC-1K არ უნდა იქნას გამოყენებული.
- არ გამოიყენოთ წვიმის, მოსალოდნელი წვიმის დროს, ან როდესაც ჰაერის და სუბსტრატის ტემპერატურა +5°C-ზე დაბალია.
- ბიტუმის საფარი ვერ უძლებს უარყოფით ჰიდროსტატიკურ წნევას, იმ ზონებში, სადაც ეს მოსალოდნელია, პირველ რიგში აუცილებელია AQUAFIN-1K დამცავი ფენის წასმა.
- დაიცავით ქვის წყობის სახურავები და ფანჯრების ღია პარაპეტები წყლის შეღწევისგან.
- დადგენილი ტექნიკური რეგულაციების შესაბამისად, მიიღეთ წყალგაუმტარობის ზომები AQUAFIN-RS300 ან AQUAFIN-2K/M მეშვეობით აღმავალი კედლების ქვეშ და ფუძის ფილაზე.
- გარსის მინიმალური სისქე არცერთ წერტილში არ უნდა იყოს დადგენილზე მცირე!
- სველი გარსის საჭირო სისქის გადაჭარბება 100%-ით დაუშვებელია; სველი გარსის საჭირო სისქე არცერთ წერტილში არ უნდა იყოს საჭირო მინიმუმზე მცირე.
- დაიცავით COMBIDIC-1K კლიმატური ზემოქმედებისგან, მაგ.: წვიმის, ყინვის, ძლიერი მზის და ა.შ. ზემოქმედებისგან მის სრულ გაშრობამდე.

დაიცავით ევროკავშირში მოქმედი ქიმიური პროდუქციის უსაფრთხოების სპეციფიკაცია.

GISCODE: BBP 10

წინამდებარე ტექნიკური სპეციფიკაცია ნათარგმნია გერმანული ენიდან და არ ითვალისწინებს ადგილობრივ სამშენებლო კოდექსებს თუ სამართლებრივ მოთხოვნებს. დოკუმენტი გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტის მხოლოდ ზოგადი რეფერენციის სახით. სამართლებრივად სავალდებულოა მხოლოდ უახლესი გერმანული ტექნიკური სპეციფიკაცია ან უახლესი ტექნიკური სპეციფიკაცია ჩვენი ერთ-ერთი უცხოური ფილიალიდან, რომელიც ჩვენს სავაჭრო ტერიტორიაზე მდებარეობს.